ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №3/03.22/3

ქ. თბილისი

ხელშეკრულების მხარეები:

ერთი მხრივ, **სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი** წარმოდგენილი მისი დირექტორის თამარ ალადაშვილის სახით (შემდგომში „შემსყიდველი“) იურიდიული მისამართი ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი №6, ს/კ: 206351730, სახელმწიფო ხაზინა, კოდი: TRESGE22, ა/ა: 200122900

(ორგანიზაციის დასახელება, იურიდიული მისამართი და საბანკო რეკვიზიტები)

მეორე მხრივ, **შპს რითეილ ჯგუფი** წარმოდგენილი მისი დირექტორის ლაშა ჩოჩელის სახით, (შემდგომში „მიმწოდებელი“) იურიდიული მისამართი: მცხეთის რაიონი, ს. წეროვანი; ს/კ: 436041659; სს თიბისი ბანკი; ბანკის კოდი: TBCBGE22, ა/ა: GE35TB7868036080100005; ტელ: +995 577 37 32 01; E-mail: N.Ninikashvili@magniti.ge

(ორგანიზაციის დასახელება, იურიდიული მისამართი და საბანკო რეკვიზიტები)

1. ხელშეკრულების საგანი და ღირებულება

1.1 ხელშეკრულების საგანია: **სხვადასხვა სახის საკვები პროდუქტების (CPV15800000 - სხვადასხვა საკვები პროდუქტი; CPV15821150 - ორცხობილა; CPV15900000 - სასმელები, თამბაქო და მონათესავე პროდუქტები; CPV15982000 - უალკოჰოლო სასმელები; CPV33700000 - პირადი ჰიგიენის საშუალებები; CPV33711430 - ერთჯერადი ხელსახოცები; CPV39200000 - ავეჯის აქსესუარები; CPV39222110 - ერთჯერადი დანა-ჩანგალი და თეფშები; CPV39222120 - ერთჯერადი ჭიქები)** (შემდგომში „საქონელი“) სახელმწიფო შესყიდვა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტისა და „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ასევე სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის პროექტის კოორდინატორის თამარ შერვაშიძის მიმდინარე წლის 29 მარტის №96 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე.

1.2 შესყიდვა ხორციელდება 2022 წლის 5 იანვარს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრსა და გაეროს განვითარების პროგრამას (UNDP) შორის გაფორმებული ხელშეკრულების „ყველა დონეზე საზოგადოების ცნობიერების ასამაღლებელი და შესაძლებლობების განვითარების პროგრამის შემუშავების თაობაზე კლიმატის რისკის შესახებ ტრენინგებისა და ინფორმაციის ეფექტიანად მიწოდებისთვის თემებისა და ადგილობრივ დონეზე პირველადი რეაგირების უზრუნველმყოფთათვის“ UNDP/GCF პროექტების - „მრავალმხრივი საფრთხეების ადრეული გაფრთხილების სისტემის გაფართოება და კლიმატთან დაკავშირებული ინფორმაციის გამოყენება საქართველოში“ და „თემების გაუმჯობესებული მედეგობა კლიმატის ცვლილებით გამოწვეული რისკების მიმართ“ (GCF - №2426) ფარგლებში.

1.3 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს **1’149.75 (ერთი ათას ას ორმოცდაცხრა ლარი და 75 თეთრი) ლარს დღგ-ს გარეშე.**

2. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები

შესყიდვის ობიექტია:

2022 წლის 5 იანვარს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრსა და გაეროს განვითარების პროგრამას (UNDP) შორის გაფორმებული ხელშეკრულების „ყველა დონეზე საზოგადოების ცნობიერების ასამაღლებელი და შესაძლებლობების განვითარების პროგრამის შემუშავების თაობაზე კლიმატის რისკის შესახებ ტრენინგებისა და ინფორმაციის ეფექტიანად მიწოდებისთვის თემებისა და ადგილობრივ დონეზე პირველადი რეაგირების უზრუნველმყოფთათვის“ UNDP/GCF პროექტების - „მრავალმხრივი საფრთხეების ადრეული გაფრთხილების სისტემის გაფართოება და კლიმატთან დაკავშირებული ინფორმაციის გამოყენება საქართველოში“ და „თემების გაუმჯობესებული მედეგობა კლიმატის ცვლილებით გამოწვეული რისკების მიმართ“ (GCF - №2426) ფარგლებში, VIII-IX კლასელი მოსწავლეებისათვის თემაზე: „კლიმატის ცვლილებით გამოწვეული კატასტროფების რისკის შემცირება“ დაგეგმილი ტრენინგებისთვის სხვადასხვა სახის საკვები პროდუქტების შესყიდვა.

3. საქონლის მიწოდების პირობები

3.1. საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს არაუგვიანეს 2022 წლის 11 აპრილისა, დანართი №1-ის შესაბამისად.

3.2. საქონლის მიწოდების ადგილია: მიმწოდებლის ადგილსამყოფელი.

3.3. მიწოდებული საქონელი უნდა იყოს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო.

4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

4.1. მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნით ხელშეკრულების მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე შემსყიდველი ახორციელებს კონტროლს;

4.2. ხელშეკრულების მიმდინარეობის კონტროლის მიზანს წარმოადგენს:

4.2.1. საქონლის მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;

4.2.2. შემოწმებით დგინდება მიწოდებული საქონლის ან/და მისი ნაწილის ხარისხის ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;

4.2.3. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებზე კონტროლის განხორციელება, მიმწოდებელთან მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება და ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება;

4.3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს (ინსპექტირებას) ახორციელებს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის პროექტის კოორდინატორი - თამარ შერვაშიძე.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარება ხორციელდება მიღება–ჩაბარების აქტის საფუძველზე მიმწოდებლის მიერ სრულად მიწოდებული საქონლის შესაბამისად.

5.2. იმ შემთხვევაში თუ, მიწოდებული საქონელი შეესაბამება ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, ხელშეკრულებით განსაზღვრული პირი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე ახორციელებს მიწოდებული საქონლის მიღებას, ხოლო თუ, საქონლის მიწოდების პროცესში გამოვლინდება, რომ საქონელი არ აკმაყოფილებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, შემსყიდველს უფლება აქვს არ მიიღოს წუნდებული საქონელი და დაუბრუნოს იგი მიმწოდებელს მიმწოდებლის ხარჯით.

5.3. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს წარმოუდგინოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია - სასაქონლო ზედნადები და საგადასახადო ანგარიშფაქტურა. ხოლო, იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელი არ არის დღგ-ს გადამხდელი, მან უნდა წარმოადგინოს შესაბამისი ცნობა სსიპ შემოსავლების სამსახურიდან.

5.4 ხელშეკრულებით გათვლისწინებული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის პროექტის კოორდინატორი - თამარ შერვაშიძე.

6. ანგარიშსწორება

6.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ლარში, მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად მიწოდებული საქონლის ღირებულების შესაბამისად.

6.2 ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტებზე.

6.3 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ხელშეკრულების 5.3. პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაციის საფუძველზე, წარმოდგენიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშო დღის ვადაში.

7. მხარეთა ვალდებულებები

7.1. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

7.1.1. მიაწოდოს „შემსყიდველს“ უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი;

7.1.2. „შემსყიდველს“ მიაწოდოს საქონელი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად და უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა;

7.1.3. უზრუნველყოს ნაკლოვანი საქონლის შეცვლა 1 (ერთი) დღის ვადაში;

7.1.4. კეთილსინდისიერად და მაღალპროფესიონალურ დონეზე შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება;

7.1.5. დროულად განიხილოს შემსყიდველის მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

7.2. „შემსყიდველი“ ვალდებულია:

7.2.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად აუნაზღაუროს მიმწოდებელს მიწოდებული საქონლის ღირებულება.

7.2.2. დროულად განიხილოს „მიმწოდებლის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

7.2.3. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა უფლება

8.1. „მიმწოდებელს“ უფლება აქვს:

8.1.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად მოითხოვოს შემსყიდველისგან მიწოდებული

საქონლის ღირებულების ანაზღაურება.

8.2. „შემსყიდველს“ უფლება აქვს:

8.2.1. აწარმოოს მიწოდებული პროდუქციის ხარისხისა და რაოდენობის კონტროლი;

8.2.2. განაცხადოს უარი უხარისხო საქონლის მიღებაზე. მოითხოვოს ხარვეზის აღმოფხვრა წინააღმდეგ შემთხვევაში არ მოახდინოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანგარიშსწორება.

9. ფორს-მაჟორი

9.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას;

9.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

9.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

9.4 ფორს-მაჟორული პირობების გათვალისწინება რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10. ხელშეკრულების პირობების და ფასების გადასინჯვა

10.1 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

10.2 წინამდებარე ხელშეკრულების ფასების შეცვლა დასაშვებია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

10.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

10.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

11.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელის შემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად არ

განხორციელდა შესაბამისი ხარისხის საქონლის მიწოდება, მიმწოდებელს დაეკისრება პირსაგამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 20%-ის ოდენობით;
13.2. შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების 6.3. პუნქტით გათვალისწინებული ანგარიშსწორების ვადების დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველს მიმწოდებლის სასარგებლოდ დაეკისრება პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,05% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1 ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:

14.1.1 მხარეთა შეთანხმებით;

14.1.2 ერთი მხარის მიერ 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის;

14.1.3 შემსყიდველის ინიციატივით, მეორე მხარის წერილობითი გაფრთხილებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში;

14.1.4 საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის თარიღიდან და ძალაშია 2022 წლის 31 მაისის ჩათვლით.

16. განსაკუთრებული პირობები

არცერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე მხარეს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი	**შპს რითეილ ჯგუფი**
_____	_____
თამარ ალადაშვილი დირექტორი	ლაშა ჩოჩელი დირექტორი
LEPL Environmental Information and Education Centre Digitally signed by LEPL Environmental Information and Education Centre Date: 2022.03.30 09:45:51 +04'00'	Lasha Chocheli Digitally signed by Lasha Chocheli Date: 2022.03.30 10:25:26 +04'00'

N	*CPV*	*პროდუქტის კოდი*	*შესყიდვის ობიექტი*	*განზომილება*	*რაოდენობა*	ერთეულის ღირებულება დღგ-ს გარეშე (ლარი)	ჯამური ღირებულება დღგ-ს გარეშე (ლარი)
			სერვის ცენტრი 71				
1	15821150	4860006181341	ხაჭოს ნამცხვარი "ტკბილი ქვეყანა" 350 გრ	ცალი	30	3.52	105.51
2	15821150	4860006181433	თაფლკვერი "ტკბილი ქვეყანა" ჯემით 500 გრ	ცალი	30	3.22	96.61
3	15821150	5941194000382	მარილიანი ჩხირები "კროკო" გრძელი 250 გრ	ცალი	20	3.64	72.88
4	15821150	7622300551964	ორცხობილა "ტუკი" ყველით 100 გრ	ცალი	30	2.29	68.64
5	15980000	5449000000286	კოკა-კოლა 2 ლ	ცალი	30	3.31	99.15
6	33711430	4860007990102	ხელსახოცი "სოფია" 1 ფენა 25*25 თეთრი 80ცალიანი	ცალი	10	1.19	11.86
7	39222120	1062	ერთჯერადი ჭიქა პატარაა	ცალი	250	0.04	10.59
8	39222110	1060	ერთჯერადი თეფში	ცალი	250	0.08	21.19
			სერვის ცენტრი 146				
10	15821150	5941194001563	მარილიანი ჩხირები "კროკო" 250 გრ	ცალი	3	3.64	10.93
11	15821150	7622300551971	ორცხობილა "ტუკი" 100გრ წიწაკით	ცალი	3	2.29	6.86
12	15821150	7622300551964	ორცხობილა "ტუკი" ყველით 100 გრ	ცალი	3	2.29	6.86
13	15821150	4860006181341	ხაჭოს ნამცხვარი "ტკბილი ქვეყანა" 350 გრ	ცალი	15	3.52	52.75
14	15980000	5449000000286	კოკა-კოლა 2 ლ	ცალი	15	3.31	49.58
15	15821150	7622201434519	ორცხობილა "ტუკი" 100გრ კრაბით	ცალი	3	2.29	6.86
16	39222120	1062	ერთჯერადი ჭიქა პატარაა	ცალი	400	0.04	16.95
17	39222110	1060	ერთჯერადი თეფში	ცალი	50	0.08	4.24
18	33711430	4860102220708	ხელსახოცი "ორეი" 30x33 1ფ 45ც	ცალი	5	1.10	5.51
19	15821150	4860006181839	თაფლკვერი "ტკბილი ქვეყანა" რძეზე ფორთოხლით 350 გრ	ცალი	15	3.05	45.76
			სერვის ცენტრი 300				
21	15821150	4860006181341	ხაჭოს ნამცხვარი "ტკბილი ქვეყანა" 350 გრ	ცალი	15	3.52	52.75
22	15980000	5449000000286	კოკა-კოლა 2 ლ	ცალი	15	3.31	49.58
23	15821150	7622300551964	ორცხობილა "ტუკი" ყველით 100 გრ	ცალი	15	2.29	34.32
24	15821150	5941194001563	მარილიანი ჩხირები "კროკო" 250 გრ	ცალი	10	3.64	36.44
25	39222120	1062	ერთჯერადი ჭიქა პატარაა	ცალი	400	0.04	16.95
26	39222110	1060	ერთჯერადი თეფში	ცალი	150	0.08	12.71

			სერვის ცენტრი 91				
27	15821150	5941194000771	კრეკერი "კროკო" ბრეზელი მარილიანი 300 გრ	ცალი	10	3.64	36.44
28	15821150	7622300551971	ორცხობილა "ტუკი" 100გრ წიწაკით	ცალი	15	2.29	34.32
29	15821150	4860006181433	თაფლკვერი "ტკბილი ქვეყანა" ჯემით 500 გრ	ცალი	15	3.22	48.31
30	15821150	4860006181341	ხაჭოს ნამცხვარი "ტკბილი ქვეყანა" 350 გრ	ცალი	15	3.52	52.75
31	15980000	5449000000286	კოკა-კოლა 2 ლ	ცალი	15	3.31	49.58
32	33711430	4860007990119	ხელსახოცი "სოფია" lux 1ფენა 80ცალიანი	ცალი	5	1.48	7.42
33	39222120	1062	ერთჯერადი ჭიქა პატარაა	ცალი	400	0.04	16.95
34	39222110	1060	ერთჯერადი თეფში	ცალი	100	0.08	8.47
						ჯამი:	**1’149.75**

„შემსყიდველი“

სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი

_____

თამარ ალადაშვილი
დირექტორი

„მიმწოდებელი“

შპს რითეილ ჯგუფი

Lasha Chocheli

Digitally signed by Lasha Chocheli
Date: 2022.03.30 10:26:07 +04'00'

ლაშა ჩოჩელი
დირექტორი